Nexia TA

Nexia International-ის წევრი

შპს "ჯიარჯი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 8

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 10

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა 10
2. მომზადების საფუძვლები 11
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 19
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები 20
5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება და კლასიფიკაციის ცვლილება 22
6. ძირითადი საშუალებები 23
7. აქტივი გამოყენების უფლება 23
8. საგადასახადო აქტივი 23
9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 24
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 24
11. ფული და ფულის ეკვივალენტები 24
12. გრძელვადიანი და მოკლევადინი სესხები 25
13. კაპიტალი 25
14. საიჯარო ვალდებულებები 25
15. მიღებული ავანსები 25
16. ანარიცხები 26
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 26
18. შემოსავალი 26
19. რეალიზაციის თვითღირებულება 26
20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 26
21. ფინანსური ხარჯი 27
22. გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი 27
23. არასაოპერაციო შემოსავალი და არასაოპერაციო ხარჯი 27
24. მოგების გადასახადი 28
25. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები 28
26. ფინანსური რისკის მართვა 32
27. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 32
28. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 33
29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

Nexia TA

Member of Nexia International

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯიარჯის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ჯიარჯი“-ს (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან. ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებსა და ჩვენ მიერ მათზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული ჩვენი აუდიტორული მოსაზრება არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან არსებითად თანხვდენილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფსიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

12, Aleksidze str. | King David Business Center | Tbilisi 0171 Georgia | ალექსიძის ქ.12 | ბიზნეს ცენტრი კინგ დევიდი | თბილისი 0171 საქართველო | T: +995 32 25 606 25 | info@nexia.ge | www.nexia.ge

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასხვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია თი ეი“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

31 მაისი, 2021

შპს ჯიარჯი და მისი შვილობილი კომპანია
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 *(გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2019 *(გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	3,545,357	3,552,024	3,519,811
აქტივის გამოყენების უფლება	7	2,080,699	1,777,304	1,591,912
არამატერიალური აქტივები		1,786	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,627,842	5,329,328	5,111,723
მიმდინარე აქტივები				
საგადასახადო აქტივი	8	166,509	326,688	145,484
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	9	1,256,206	1,138,808	889,896
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,805,689	1,346,766	807,736
ფული და მისი ექვივალენტები	11	302,276	194,021	165,366
სულ მიმდინარე აქტივები		3,530,680	3,006,283	2,008,482
სულ აქტივები		9,158,522	8,335,611	7,120,205
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	15,230	15,230	15,230
გაუნაწილებელი მოგება	13	1,311,374	994,559	1,132,215
სულ კაპიტალი		1,326,604	1,009,789	1,147,445
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული ავანსი	15	-	-	1,180,000
გრძელვადიანი სესხები	12	461,871	404,709	-
საიჯარო ვალდებულება	14	410,105	201,335	610,116
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		871,976	606,044	1,790,116
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსი	15	1,193,710	1,278,230	795,309
ანარიცხები	16	119,227	119,227	-
საიჯარო ვალდებულება	14	485,230	748,485	636,804
მოკლევადიანი სესხები	12	1,510,861	1,210,071	868,451
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	3,650,914	3,363,765	1,882,080
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,959,942	6,719,778	4,182,644
სულ ვალდებულებები		7,831,918	7,325,822	5,972,760
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,158,522	8,335,611	7,120,205

**ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.*

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნები	2020	2019 *(გადაანგარიშებული)
შემოსავალი	18	16,678,448	21,880,696
რეალიზაციის თვითღირებულება	19	(13,373,099)	(18,249,734)
საერთო მოგება		3,305,349	3,630,962
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(2,321,808)	(2,528,860)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	10	231,356	(345,457)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(51,567)	(5,093)
საოპერაციო მოგება		1,163,330	751,552
ფინანსური შემოსავალი		1,300	-
ფინანსური ხარჯი	21	(302,638)	(400,700)
ანარიცხების ხარჯი	16	-	(119,227)
გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი	22	(237,136)	(114,519)
არასაოპერაციო შემოსავალი	23	281,962	141,972
არასაოპერაციო ხარჯი	23	-	(94,754)
მოგება დაბეგვრამდე		906,818	164,324
მოგების გადასახადი	24	(33,002)	(33,141)
წლის წმინდა მოგება		873,816	131,183
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		873,816	131,183

** ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.*

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2018 *(გადაანგარიშებული)*		15,230	1,132,215	1,147,445
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	131,183	131,183
გამოცხადებული დივიდენდი	13	-	(268,839)	(268,839)
31 დეკემბერი, 2019 *(გადაანგარიშებული)*		15,230	994,559	1,009,789
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	873,816	873,816
გამოცხადებული დივიდენდი		-	(557,001)	(557,001)
31 დეკემბერი, 2020		15,230	1,311,374	1,326,604

** ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.*

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნები	2020	2019 *(გადაანგარიშებული)
მოგება დაბეგვრამდე		906,818	164,324
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია		646,760	548,349
გაუფასურების რეზერვის ცვლილება		(231,356)	345,457
გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი		237,136	114,519
საპროცენტო ხარჯი		302,638	400,700
სესხის პატიება		(149,899)	-
სესხზე დარიცხული საურავი		47,214	-
ანარიცხის ხარჯი		-	119,227
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე:		1,759,311	1,692,576
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა მარაგებში		(117,398)	(248,912)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(227,567)	(884,487)
(ზრდა)/კლება ავანსებში		(84,520)	482,921
ზრდა/(კლება) საგადასახადო აქტივში		160,179	(181,204)
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		252,534	1,481,685
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე		1,742,539	2,342,579
გადახდილი მოგების გადასახადი		(33,002)	(33,141)
გადახდილი პროცენტი		(302,638)	(400,700)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		1,406,899	1,908,738
საინვესტიციო საქმიანობა:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივის შეძენა		(512,612)	(986,796)
ფულადი ნაკადები ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		57,070	-
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(455,542)	(986,796)
ფინანსური საქმიანობა:			
სესხების დაფარვა		(1,296,350)	(894,922)
მიღებული სესხები		1,689,209	746,329
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(689,041)	(475,672)
გაცემული დივიდენდი		(557,001)	(268,839)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული ფინანსური საქმიანობაში		(853,183)	(893,104)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		98,174	28,838
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		194,021	165,366
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		10,081	(183)
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		302,276	194,021

** ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.*

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ჯიარჯი“ (შემდგომში „კომპანია“) დარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო რეესტრში 2013 წლის 19 მარტს. კომპანიის იურიდიული მისამართია გაგარინის მეორე შესახვევი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო.

კომპანია ფლობს შვილობილ კომპანიას (შემდგომში ერთად მოხსენიერებული, როგორც „ჯგუფი“) როგორც ეს განმარტებულია შენიშვნა 2.2-ში ქვემოთ.

ჯგუფი სპეციალიზირდება ინფრასტრუქტურის მშენებლობის სექტორში და მთავარ მიმართულებას წარმოადგენს გზების მშენებლობა. მისი 100%-იანი წილის მფლობელია ვლადიმერ ჭედია 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში, რომელსაც გააჩნია ზრდადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციისა და აღსრულების ფორმალური პროცედურების განვითარების საჭიროებათა და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარლუ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს ჯგუფის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები

2.1 მომზადების საფუძვლები

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 კონსოლიდაციის საუძვლები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში შედიოდა ერთი შვილობილი კომპანია: ***შპს ინერტული მასალები,*** რომელიც დაარსდა 2019 წლის 6 დეკემბერს (რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო). კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის შპს ჯიარჯი. შვილობილი კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვადასხვა ინერტული მასალების წარმოება. შვილობილი კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

2.3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილებების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მრავალი ფაქტორი , მათ შორის:

- დადებითი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან,
- ჯგუფის ოპერაციების მომგებიანობა,
- დადებითი და მზარდი კაპიტალის ოდენობა,
- სრული მხარდაჭერა დამფუძნებლებისაგან საჭიროების შემთხვევაში.

ხელმძღვანელობა ინფორმირებულია, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს 3,429,262 ლარით. მიუხედავად ამისა, ჯგუფი 2020 წელს მოგებაზეა გასული და შემომავალი ფულადი ნაკადებიც მზარდია. გარდა ამისა ჯგუფს აქვს მიმდინარე პროექტები 2021 წლის განმავლობაში და ეტაპობრივად ახორციელებს ვალდებულებების გეგმაზომიერ დაფარვასა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მიმდინარე და 2021 წელს დაგეგმილი პროექტების ჩამონათვალი კი შემდეგია:

- თბილისი - ტოიოტას სასაწყობე მეურნეობის შიდა ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ.ზუგდიდის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტირება-რეაბილიტაცია (29 ქუჩა);
- სამტრედია-გრიგოლეთის გზის მონაკვეთი - საფუძვლის მოწყობა;
- სამტრედია-გრიგოლეთის გზის მონაკვეთი - ასფალტის საფარის მოწყობა.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ სახსრები, რომლებსაც ჯგუფი გამოიმუშავებს ამ პროექტებით საკმარისი იქნება მათი საოპერაციო ხარჯების დასაფარად და ვალდებულებების გადასახდელად ბიზნესის ჩვეულებრივი ოპერირების ფარგლებში.

COVID-19 ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სამშენებლო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. ჯგუფმა მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივების შეფასება (იხ. შენიშვნა 26) და შედეგად, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ არ არსებობს ეჭვი ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ამჟამად ყველა ოპერაცია სრულდება იმ დაშვებით რომ ჯგუფი გააგრძელებს ფუნქციონირებას, განცხადებები ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ დაფუძნებულია მიმდინარე მოლოდინებსა და გათვლებზე. არსებობს რისკები რომლებიც შესაძლოა იყოს ხელმძღვანელობის კონტროლის მიღმა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სხვაობა ფაქტიურ და მოსალოდნელ შედეგებს შორის. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რომ ჯგუფი შეძლებს ფინანსური ვადლებულებების გადახდას ბიზნესის ჩვეულებრივი ოპერირების ფარგლებში ფინანსური ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფუნქციონალური და წარმოდგენილი ანგარიშგების ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები(გაგრძელება)

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2020	31 დეკ 2019
1 დოლარი/ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095

უცხოური ვალუტის საშუალო გაცვლითი კურსები 2020 და 2019 წლების მდგომარეობით არის შემდეგი:

	2020	2019
1 დოლარი/ლარი	3.1097	2.8192
1 ევრო/ლარი	3.5519	3.1553

შეფასების საფუძვლები

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა ჯგუფში ეკონომიკური სარგებლის მიღების და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება თანხის მიღება. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე. ჯგუფმა დაადგინა, რომ ის არის პრინციპალი ყველა შემოსავლის ხელშეკრულებაში, რადგან ის არის მთავარი მოვალე, აქვს ფასის ცვლილების შესაძლებლობა და ასევე ექვემდებარება მარაგების და საკრედიტო რისკს.

ყოველ ხელშეკრულებაზე ჯგუფი ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან აღიარდება შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება, საანგარიშგებო პერიოდისთვის გაწეული ხარჯებისა და მთლიანად სახელშეკრულებო ხარჯების შეფარდების პროპორციულად.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი მხარისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე მხარისთვის.

3. საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის

ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია ჯგუფისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება.ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში.თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები.სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის,

რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს

რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360
რეზერვი %	2%	5%	10%	25%	50%	100%

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია:

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სახელშეკრულებო აქტივი

სახელშეკრულებო აქტივები და სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგნეილია როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და განისაზღვრება კონტრაქტის დონეზე. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები თითოეული შესრულების ვალდებულებაზე ერთი ხელშეკრულების ფარგლებში წარმოდგენილია ნეტო სახით. ვალდებულებები აღირცხული პროდუქციის დაბრუნების და მოცულობითი ფასდაკლებებით არ აკლდება სახელშეკრულებო ვალდებულებებს, ან აქტივებს, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ცალკე მოლოდინს (მაგ. ნაღდი ფულის გადახდის მოლოდინი, შესრულების მოლოდინის საპირისპიროდ).

ამის მსგავსად, ხელშეკრულების მოსაპოვებლად გაწეული დაკაპიტალიზირებული ხარჯები არ უნდა გაერთიანდეს სახელშეკრულებო აქტივებთან. ხელშეკრლების მოსაპოვებლად გაწეული დაკაპიტალიზირებლი ზღვრული ხარჯები წარმოდგენილია, როგორც აქტივი და კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივი, თუ საწყისი საამორტიზაციო პერიოდი არ არის ერთ წელზე ნაკლები. ზოგადად, ხელშეკრულების მოსაპოვებლად გაწეული და დაკაპიტალიზირებული ხარჯების ამორტიზაცია წარმოდგენილია, როგორც გაყიდვების ხარჯი, მოგება-ზარალის ზოგად და ადმინისტრაციული ნაწილში.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება

აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტვის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მანქანა დანადგარები	2-14
საწარმოო აღჭურვილობა	1-10
საოფისე აღჭურვილობა	1-5
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი	1-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-10
ქარხნის აღჭურვილობა	5-11
მიწა	არ იცვითება
აქტივი გამოყენების უფლებით	2-10

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონომდებლობის მიხედვით.მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა,

როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების

ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება FIFO (პირველი შემოსული, პირველი გადის) მეთოდით ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

იჯარა

ჯგუფი როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, ჯგუფმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად ჯგუფმა უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. ჯგუფი განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ

მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ჯგუფმა გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

ჯგუფი როგორც მეიჯარე

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16 -ის გამოყენების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პოლიტიკისაგან. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად , თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში,კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული ავანსის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და დაკლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდის აღიარება ხდება ვალდებულებებში იმ წელს როდესაც ხდება გამოცხადება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების არსებით კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშგება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

ინფორმაცია ჯგუფის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 10-ში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა:ტექნიკური ან კომერციული მოძველება ,მოსალოდნელი წარმადობა,სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა,რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობა ცდილობას მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებელის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან,რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსასაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასული და „წელა მოძრავ" მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

იჯარის გაგრძელების უფლება

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება,ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს,საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება.ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას,მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს,რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად , თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული,რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად.ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება და კლასიფიკაციის ცვლილება

შეცდომების გასწორებამ შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და 2019 წლის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშებზე:

5.1 შეცდომების გასწორება

ეფექტი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

31-დეკ-19, ეფექტი ფინ.მდგომარეობის ანგარიშგებაზე	აღწერა	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტ. შესწორება	კორექტ. თანხები
ძირითადი საშუალებები	ხანძრის შედეგად განადგურებული , ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	5,322,663	(48,159)	5,274,504
გაუნაწილებელი მოგება		(1,116,671)	48,159	(1,068,512)
საიჯარო ვალდებულება	0 პროცენტიანი იჯარების დისკონტირებით მიღებული სხვაობის კორექტირება	(962,103)	86,236	(875,867)
აქტივის გამოყენების უფლება		141,060	86,236	54,824
საიჯარო ვალდებულება	საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის ხარჯი	(875,867)	(73,953)	(949,820)
გაუნაწილებელი მოგება		(1,068,512)	73,953	(994,559)

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება და კლასიფიკაციის ცვლილება (გაგრძელება)

ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე 2019	აღწერა	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
არასაოპერაციო ხარჯი	ხანძრის შედეგად განადგურებული , ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	54,020	54,020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	ცვეთის ხარჯის კორექტირება	18,255,595	(5,861)	18,249,734
ფინანსური ხარჯი	საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის ხარჯი	79,595	73,953	153,548

5.2 წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ცალკეულ ელემენტებში კლასიფიკაციის ცვლილება. აღნიშნული რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას.

რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრისა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

31-დეკ-19	აღწერა	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებების კლასიფიკაცია როგორც აქტივები გამოყენების უფლებით	5,274,504	(1,722,480)	3,552,024
აქტივი გამოყენების უფლებით		54,824	1,722,480	1,777,304

01-იან-19	აღწერა	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებების კლასიფიკაცია როგორც აქტივები გამოყენების უფლებით	4,912,741	(1,392,930)	3,519,811
აქტივი გამოყენების უფლებით		198,982	1,392,930	1,591,912

2019	აღწერა	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	წინა წელის წმინდა არასაოპერაციო შემოსავლის გამიჯვნა	98,321	(98,321)	-
არასაოპერაციო ხარჯი		51,104	43,650	94,754
არასაოპერაციო შემოსავალი		-	(141,971)	(141,971)

ცვლილებები ფულადი სახსრების მოძრაობის ელემენტებში

2019	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან	2,311,050	(402,312)	1,908,738
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(1,565,566)	578,770	(986,796)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული ფინანსური საქმიანობაში	(631,284)	(261,820)	(893,104)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	მანქანა-დანადგარები	საწარმოო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ქარხნის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2019	132,700	1,694,074	368,479	52,172	21,360	155,566	2,396,225	404,997	5,225,573
შეძენა	10,000	956,229	825	7,088	153	-	-	12,500	986,795
გასვლა	(6,101)	(491,404)	-	-	(765)	-	-	(35,088)	(533,358)
31 დეკემბერი 2019	136,599	2,158,899	369,304	59,260	20,748	155,566	2,396,225	382,409	5,679,010
შეძენა	7,500	335,018	5,664	12,425	8,160	49,686	-	66,383	484,836
გასვლა	-	(6,268)	-	-	(1,637)	-	-	(34,352)	(42,257)
31 დეკემბერი 2020	144,099	2,487,649	374,968	71,685	27,271	205,252	2,396,225	414,440	6,121,589
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი 2019	-	(427,781)	(237,391)	(36,553)	(15,471)	(120,683)	(770,508)	(97,375)	(1,705,762)
ცვეთა	-	(276,850)	(39,176)	(8,476)	(3,462)	(6,449)	(169,763)	(44,170)	(548,346)
გასული აქტივების ცვეთა	-	113,694	-	-	637	-	-	12,791	127,122
31 დეკემბერი 2019	-	(590,937)	(276,567)	(45,029)	(18,296)	(127,132)	(940,271)	(128,754)	(2,126,986)
ცვეთა	-	(210,670)	(34,738)	(5,767)	(3,023)	(6,037)	(169,707)	(43,493)	(473,435)
გასული აქტივების ცვეთა	-	7,003	-	-	1,594	-	-	15,592	24,189
31 დეკემბერი 2020	-	(794,604)	(311,305)	(50,796)	(19,725)	(133,169)	(1,109,978)	(156,655)	(2,576,232)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
1 იანვარი 2019	132,700	1,266,293	131,088	15,619	5,889	34,883	1,625,717	307,622	3,519,811
31 დეკემბერი 2019	136,599	1,567,962	92,737	14,231	2,452	28,434	1,455,954	253,655	3,552,024
31 დეკემბერი 2020	144,099	1,693,045	63,663	20,889	7,546	72,083	1,286,247	257,785	3,545,357

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც სრულად გაიცვითა შეადგენდა 287,501 ლარს (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 275,908 ლარი, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 232,449).

2020წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წმინდა საბალანსო ღირებულებით 1,833,455 ლარი ექვემდებარება თიბისი ბანკის სესხის უზრუნველყოფის საგანს (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,447,473).
2020წელს თვითღირებულებაში ცვეთის ხარჯი წარმოდგენილია 519,644 ლარის ოდენობით (2019:485,141 ლარი).

7. აქტივი გამოყენების უფლება

ღირებულება	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	სულ
1 იანვარი 2019	100,872	98,110	1,392,930	1,591,912
შემოსვლა	-	-	351,148	351,148
31 დეკემბერი 2019	100,872	98,110	1,744,078	1,943,060
შემოსვლა		-	489,733	489,733
31 დეკემბერი 2020	100,872	98,110	2,233,811	2,432,793
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი, 2019	-	-	-	-
წლის ცვეთა	(25,218)	(32,703)	(107,835)	(165,756)
31 დეკემბერი, 2019	(25,218)	(32,703)	(107,835)	(165,756)
წლის ცვეთა	(25,218)	(32,703)	(128,417)	(186,338)
31 დეკემბერი, 2020	(50,436)	(65,406)	(236,252)	(352,094)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2019	*100,872*	98,110	1,392,930	1,591,912
31 დეკემბერი, 2019	75,654	65,407	1,636,243	1,777,304
31 დეკემბერი, 2020	50,436	32,704	1,997,559	2,080,699

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით , კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიას ფინანსური იჯარით აღებული აქვს ოფისის ფართი, მიწის ნაკვეთი და მანქანა-დანადგარები. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ხელშეკრულებების დარჩენილი ვადა: ოფისის ფართი - 12 თვე, ხოლო მიწის ნაკვეთისთვის 24 თვე, ხოლო მანქანა-დანადგარების ხელშეკრულების დარჩენილი ვადა მერყეობს: 12 თვიდან 48 თვემდე. თავდაპირველი აღიარების თარიღი არის 2019 წლის 1 იანვარი. ხელშეკრულებები მოიცავს როგორც იჯარის გაგრძელების, ასევე შეწყვეტის უფლებას. საოფისე ფართისა და მანქანა-დანადგარების საიჯარო ხელშეკრულებით ფიქსირებული გადასახადები წარმოდგენილია აშშ დოლარის და ევროს ეკვივალენტების ოდენობით ქართულ ლარში, გადახდის დღით არსებული კურსის გამოყენებით, ხოლო მიწის შემთხვევაში ქართულ ლარში.

2020 წელს თვითღირებულებაში მანქანა-დანადგარების ცვეთის ხარჯი წარმოდგენილია 128,416 ლარით.

8. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადისგან და 2020 წელის 31 დეკემბერს შეადგენს 166,509 , 2019 წელის 31 დეკემბერს 326,688 ლარს . 2019 წლის 1 იანვარის მდგომარეობით 145,484 ლარს.

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
დაუმთავრებელი წარმოება *	871,377	804,418	507,631
ნედლეული და მასალები	288,856	327,651	319,070
საქონელი	92,860	-	-
სხვა მასალები	3,113	6,739	63,195
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1,256,206	1,138,808	889,896

* დაუმთავრებელი წარმოება წარმოადგენს წარმოების პროცესში არსებული ბალახოვანი საკვებით

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,524,888	1,735,362	1,412,845
სახელშეკრულებო აქტივი	-	561,970	-
გაუფასურების რეზერვი	(719,209)	(950,566)	(605,109)
სულ წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,805,689**	**1,346,766**	**807,736**

სახელშეკრულებო აქტივები წარმოადგენს გრძელვადიანი კონტრაქტების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების იმ ნაწილს, რომელზეც კომპანიას ჯერ არ აქვს ანგარიშსწორების მოთხოვნა გაგზავნილი დამკვეთთან. ქვემოთ წარმოდგენილია გაუფასურების რეზევის მოძრაობა.

	გაუფაურების რეზერვი
ბალანსი 1 იანვარი 2019	(605,109)
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	(345,457)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	(950,566)
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	231,357
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	(719,209)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფული ბანკში	302,276	109,621	143,759
ფული გზაში	-	84,400	-
შეზღუდული ფული საბანკო ანგარიშზე *	-	-	21,607
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**302,276**	**194,021**	**165,366**

* შეზღუდული ფული საბანკო ანგარიშზე შედგება სს ტერაბანკში არსებული მოკლევადიანი დეპოზიტისგან, რომელიც განთავსებულია გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით.

12. გრძელვადიანი და მოკლევადინი სესხები

ორგანიზაცია	სესხის დაწყ. თარიღი	სესხის დასრ. თარიღი	საპრ. განაკვეთი	ვალუტა	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	1 იან. 2019
შპს საავტ. გზების რეაბილიტაციის ზედამხ.	29-08-18	30-12-20	20.00%	ლარი	-	146,597	177,151
თიბისი ბანკი	25-12-20	01-02-2021	13.5%	ლარი	782,000	-	-
თიბისი ბანკი	27-12-19	01-02-20	12.00%	ლარი	-	370,000	-
თიბისი ბანკი	22-04-19	10-02-21	14,5%	ლარი	600,000	600,000	-
თიბისი ბანკი	14-08-20	14-10-20	13.5%	ლარი	125,000	-	-
ტერაბანკი	19-10-18	17-04-19	15.00%	ლარი	-	-	600,00
შპს პაუერ ენდ ბიუთი	26-04-18	31-12-19	11.30%	ლარი	-	-	86,099
თიბისი ბანკი	27-12-19	27-03-23	5,94%	დოლარი	-	487,509	-
თიბისი ბანკი	01-01-20	27-12-22	6%+LIBOR	დოლარი	461,871	-	-
სხვა	01-03-19	01-03-20	11.00%	ლარი	3,861	10,674	5,201
სულ					1,972,732	1,614,780	868,451
ძირი					1,968,871	1,517,858	780,000
საპროცენტო ვალდებულება					3,861	96,922	88,451

საპროცენტო ხარჯი მოკლევადიან სესხზე იხილეთ მე-21 შენიშვნაში.

13. კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი წარმოდგენილია მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალით, რაც 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 15,230 ლარს.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა დამფუძნებლებზე გაანაწილა 557,001 ლარის ოდენობის დივიდენდი, (2019: 268,839 ლარი).

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელი დარჩა.

14. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდეულებები შედგება იჯარით აღებული ქონების სამომავლო გადახდების დისკონტირებული ღირებულებისაგან.

	მიწა	შენობა	მანქანა-დანადგარები	სულ
საიჯარო ვალდებულება 1 იანვარი 2019	100,872	98,110	1,047,938	1,246,920
ფინანსური ვალდებულების აღება წლის განმავლობაში	-	-	351,148	351,148
გადახდა წლის განმავლობაში	(21,779)	(38,905)	(836,795)	(897,479)
დარიცხული პროცენტი	7,444	7,099	139,197	153,740
გაცვლითი კურსის ეფექტი	-	6,611	88,880	95,491
საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბერი 2019	86,537	72,915	790,368	949,820
ფინანსური ვალდებულების აღება წლის განმავლობაში	-	-	619,164	619,164
გადახდა წლის განმავლობაში	(29,342)	(55,049)	(880,326)	(964,717)
დარიცხული პროცენტი	2,776	4,977	70,713	78,466
გაცვლითი კურსის ეფექტი	-	15,075	197,527	212,602
საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბერი 2020	59,971	37,918	797,466	895,335

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი.

	31 დეკ 2020	31 დეკ 2019	1 იან 2019
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	485,230	748,485	636,804
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	410,105	201,335	610,116
სულ საიჯარო ვალდებულება	895,335	949,820	1,246,920

საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე იხილეთ მე-21 შენიშვნაში.

15. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსების ნაშთი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,193,710 და 1,278,230 ლარს (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 795,309 ლარი) შესაბამისად. მიღებული ავანსები ძირითადად შედგება ერთ-ერთი სამშენებლო კონტრაქტისთვის ჩარიცხული სახსრებისგან.

16. ანარიცხები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ანარიცხები სრულად შედგება მიმდინარე სასამართლო დავების ანარიცხებისგან რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრს შეადგენს 119,227 ლარს (31 დეკემბერი 2019: 119,227 ლარი, 1 იანვარი 2019: 0 ლარი). აღნიშნული დავა მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში. პირველმა ინსტანციამ კომპანიას დააკისრა თანხის გადახდის ვალდებულება.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	3,641,728	3,351,872	1,875,184
სხვა ვალდებულებები	9,186	11,893	6,896
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,650,914	3,363,765	1,882,080

სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად შედგება მომწოდებლების მიმართ არსებული დავალიანებისგან.

18. შემოსავალი

	2020	2019
სამშენებლო კონტრაქტები	9,425,499	15,426,982
ასფალტის რეალიზაცია	6,524,287	6,046,990
ბიტუმის რეალიზაცია	208,702	360,174
შემოსავალი სხვა გაწეული მომსახურებებიდან და გაყიდვებიდან	519,960	46,550
სულ შემოსავალი	16,678,448	21,880,696

19. რეალიზაციის თვითღირებულება

	2020	2019
თვითღირებულება სამშენებლო კონტრაქტებზე	7,888,213	12,599,864
რეალიზებული ასფალტის თვითღირებულება	4,579,760	4,729,065
რეალიზებული ბიტუმის თვითღირებულება	205,594	352,636
სხვა ხარჯები	699,532	568,169
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	13,373,099	18,249,734

20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
ხელფასები	1,161,628	1,316,834
საწვავის ხარჯები	275,181	436,409
რემონტის ხარჯები	442,061	408,406
ცვეთა და ამორტიზაცია	93,162	95,912
ქონების გადასახადის ხარჯი	44,105	38,090
მივლინება	480	20,160
საკონსულტაციო ხარჯი	40,083	16,950
იჯარის ხარჯები	11,361	4,589
სხვა ხარჯები	253,745	191,510
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,321,808	2,528,860

21. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი	2020	2019
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	224,172	247,092
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე	78,466	153,608
სულ ფინანსური ხარჯი	302,638	400,700

22. გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	მოგება	ზარალი	წმინდა ეფექტი
ფული და ფულის ეკვივალენტები	30,816	(20,735)	10,081
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24,134	(58,749)	(34,615)
საიჯარო ვალდებულება	72,470	(285,072)	(212,602)
სულ გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი	**127,420**	**(364,556)**	**(237,136)**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	მოგება	ზარალი	წმინდა ეფექტი
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	(183)	(183)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,039	(19,884)	(18,845)
საიჯარო ვალდებულება	7,180	(102,671)	(95,491)
სულ გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი	**8,219**	**(122,738)**	**(114,519)**

23. არასაოპერაციო შემოსავალი და არასაოპერაციო ხარჯი

	2020	2019
არასაოპერაციო შემოსავალი*	281,962	141,972
არასაოპერაციო ხარჯი**	-	(94,754)
წმინდა არასაოპერაიო შემოსავალი	**281,962**	**47,218**

*არასაოპერაციო შემოსავლები 2020 და 2019 წლებში ძირითადად შედგება ერთ-ერთ სამშენებლო პროექტზე, შპს ჯიარჯის (ქვეკონტრაქტორი) მიერ კლიენტის (კონტრაქტორი) მაგივრად გაწეული საბანკო ხარჯების ანზაღაურებისგან.

**არასაოპერაციო ხარჯები 2019 წელში ძირითადად შედგება ერთ-ერთ პროექტზე გამოსასწორებელი სამუშაოების ჯარიმებისგან.

24. მოგების გადასახადი

2020 წლის განმავლობაში გადახდილმა მოგების გადასახადმა შეადგინა 33,002 ლარი (2019: 33,141 ლარი). გადახდილი მოგების გადასახადის ნაწილი გამოქვითულია საგადასახადო აქტივებიდან.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების

25. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანებლობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არ არსებობს შესაბამისი რეზერვი).

სასამართლო დავები

კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავა, რომელიც ჯერჯერობით განხილვის პროცესშია საქართველოს სასამართლოს პირველ ინსტანციაში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ნაკლებად სავარაუდოა სასამართლომ დააკმაყოფილოს სარჩელი, რომლის თანახმადაც მოსარჩელე მოითხოვს 101,466 ლარის ოდენობის თანხის ანაზღაურებას.

26. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროდუქციის

შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	01-01-19
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,805,689	1,346,766	807,736
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	302,276	194,021	165,366
სულ საკრედიტო რისკთან დაკავშ. ფინანსური აქტივები		2,107,965	1,540,787	973,102

26.ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს,

რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების ჯგუფის დონეზე მართვით.

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	-	(511,869)	(511,869)
ევრო	-	(176,349)	(176,349)
სულ		(688,218)	(688,218)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	70,230	(1,100,663)	(1,030,433)
ევრო	-	(189,027)	(189,027)
სულ	70,230	(1,289,690)	(1,219,460)

26.ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

2019 წლის 1 იანვარი მდგომარეობით

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	-	(1,047,938)	(1,047,938)
სულ	-	(1,047,938)	(1,047,938)

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

გავლენა მოგება-ზარალზე	2020	2019
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება ლარის მიმართ	(51,187)	(103,043)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება ლარის მიმართ	51,187	103,043
ევროს 10%-ით გაუფასურება ლარის მიმართ	(17,635)	(18,903)
ევროს 10%-ით გაუფასურება ლარის მიმართ	17,635	18,903

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფი არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ჯგუფის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 11) ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს

გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილებში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო ფულად ნაკადებს.გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

26.ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2020 -2019 წლებში მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2020

ფინანსური აქტივი	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,805,689	-	1,805,689
ფული და ფულის ეკვივალენტები	302,276	-	302,276
სულ ფინანსური აქტივები	2,107,965	-	2,107,965
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,650,914)	-	(3,650,914)
სესხები	(1,510,861)	(461,871)	(1,972,732)
საიჯარო ვალდებულებები	(485,230)	(410,105)	(895,335)
ანარიცხები	(119,227)	-	(119,227)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(5,766,232)	(871,976)	(6,638,208)
წმინდა პოზიცია	(3,658,267)	(871,976)	(4,530,243)

31 დეკემბერი 2019

ფინანსური აქტივი	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,346,766	-	1,346,766
ფული და ფულის ეკვივალენტები	194,021	-	194,021
სულ ფინანსური აქტივები	1,540,787	-	1,540,787
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,363,765)	-	(3,363,765)
სესხები	(1,210,071)	(404,709)	(1,614,780)
საიჯარო ვალდებულებები	(748,485)	(201,335)	(949,820)
ანარიცხები	(119,227)	-	(119,227)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(5,441,548)	(606,044)	(6,047,592)
წმინდა პოზიცია	(3,900,761)	(606,044)	(4,506,805)

1 იანვარი 2019

ფინანსური აქტივი	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	807,736	-	807,736
ფული და ფულის ეკვივალენტები	165,366	-	165,366
სულ ფინანსური აქტივები	973,102	-	973,102
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,882,080)	-	(1,882,080)
სესხები	(868,451)	-	(868,451)
საიჯარო ვალდებულებები	(636,804)	(610,116)	(1,246,920)
ანარიცხები	(119,227)	-	(119,227)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(3,506,562)	(610,116)	(4,116,678)
წმინდა პოზიცია	(2,533,460)	(610,116)	(3,143,576)

27. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია ჯგუფს, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

ჯგუფის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტები	302,276	302,276	194,021	194,021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,805,689	1,805,689	1,346,766	1,346,766
საიჯარო ვალდებულება	(895,335)	(895,335)	(949,820)	(949,820)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,650,914)	(3,650,914)	(3,363,765)	(3,363,765)
მიღებული სესხები	(1,972,732)	(1,972,732)	(1,614,780)	(1,614,780)

	1 იანვარი 2019	
	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტები	165,366	165,366
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	807,736	807,736
საიჯარო ვალდებულება	(1,246,920)	(1,246,920)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,882,080)	(1,882,080)
მიღებული სესხები	(868,451)	(868,451)

28. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ვ)მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

28. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომელბისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ტრანზაქციები შესაბამის ფინანსურ წელში:

		2020	2019
შემოსავალი	**ურთიერთობის ტიპი**	16,678,448	21,880,696
შპს ჯორჯიან ინდასტრი	საერთო კონტრ. ქვეშ	-	275,867
სულ შემოსავალი დაკავშირებულ მხარეებთან		-	275,867

		2020	2019
რეალიზაციის თვითრირებულება	**ურთიერთობის ტიპი**	13,387,617	18,249,734
შპს ჯორჯიან ინდასტრი	საერთო კონტრ. ქვეშ	-	2,392,614
სულ რეალიზაციის თვითღირებულება დაკავშირებულ მხარეებთან		-	2,392,614

		31-12-2020	31-12-2019	01-01-2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**ურთიერთობის ტიპი**	3,650,914	3,363,765	1,882,080
შპს ჯორჯიან ინდასტრი	საერთო კონტრ. ქვეშ	1,419,641	1,432,279	160,532
შპს პიჩფორქ თრეიდინგი	საერთო კონტრ. ქვეშ	103,412	-	-
შპს პაუერ ენდ ბიუთი	საერთო კონტრ. ქვეშ	63,799	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალებულებები დაკავშირებული მხარეებთან		1,658,652	1,432,279	160,532

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2020	2019
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	417,430	307,500

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 31 მაისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- კომპანიის დამფუძნებელზე გაიცა ჯამში 368,112 ლარის დივიდენდი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.


მმართველობის ანგარიშგება
შპს „ჯიარჯი"

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შპს ჯიარჯი (შემდგომში – "კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ), იურიდიულ პირს. კომპანია დაარსდა 2013 წლის 19 მარტს და საქმიანობას ეწევა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა და წესების შესაბამისად.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ვლადიმერ ჭედია.
კომპანიის დირექტორია გურამ დაფქვიაშვილი.
მთავარი ბუღალტერია იდა ტატანაშვილი.
კომპანიის სტრუქტურა განსაზღვრულია შემდეგნაირად:



ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა (გაგრძელება)

კომპანიაა „ჯიარჯი" საქართველოში ერთ-ერთ მსხვილ კომპანიას წარმოადგენს გზებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის სფეროში. კომპანიის სწრაფი განვითარება მაღალკონკურენტულ ბაზარზე მენეჯმენტის ეფექტურად დაგეგმილმა მიზნებმა და შემდგომ

განხორციელებამ, მაღალი სტანდარტის და ხარისხის პროდუქციის შეთავაზებამ და ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ განაპირობა.

ოფისები და შეთავაზებული მომსახურება

შპს „ჯიარჯი„ - ს იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გაგარინის II შესახვევი, N5

ფაქტიური მისამართი : საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მოსაშვილის ქუჩა, N24

ფაქტიურ მისამართზე განთავსებულია კომპანიის სათაო ოფისი და დასაქმებულია 25 თანამშრომელი.

კომპანიას აქვს ასფალტ-ბეტონის საწარმოო ბაზები, რომლებიც მდებარეობს გარდაბნის რაიონ სოფელ ნორიოში, ყაზბეგის რაიონ სოფელ კობში და ხობის რაიონ სოფელ პატარა ფოთში. საწარმოო ბაზებზე დასაქმებულია 30 ტანამშრომელი.

კომპანიის, ძირითადი მარეტიალურ-ტექნიკური ბაზები, მდებარეობს ნორიოსა და ფოთის საწარმოო ბაზების ტერიტორიაზე.

საგზაო-სარეაბილიტაციო პროექტების მსვლელობის დროს, ობიექტებზე ეწყობა მობილური ოფისები, სადაც დასაქმებულები არიან პროექტის მართვისთვის საჭირო თანამშრომლები.

ოფისები და შეთავაზებული მომსახურება (გაგრძელება)

დღეის მდგომარეობით კომპანია ძირითადად მუშაობს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და მომხმარებელს სთავაზობს შემდეგი სახის სამშენებლო მომსახურებას:

1. ასფალტო-ბეტონის გზები და ავტობანები;
2. ავტოსადგომების მშენებლობა;
3. აეროპორტის ასაფრენი ზოლის მშენებლობა;
4. სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები და განვითარების გეგმები

სამომავლო გეგმები :

მენეჯმენტი გეგმავს კომპანიის განითარებას გეოგრაფიული პრინციპით, რაც გამოხატული იქნება სხვადასხვა, ახალი რეგიონების ათვისებით და საწარმოო ბაზების განთავსებით. ასევე ახალი ტექნოლოგიების დანერგვა რჩება მენეჯმენტის პრიორიტეტად, რადგან მეტად კონკურენტუნარიანი გახდეს კომპანია საქართველოს ბაზარზე.

შპს „ჯიარჯი“-ს დირექტორი:

შპს „ჯიარჯი“-ს მთავარი ბუღალტერი:

28 მაისი 2021